




შინაგანაწესი, დანართი №11

ახალი რედაქცია დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება № 01-01 03.01.2023

რექტორი  პ. ხვედელიძე



სტუდენტების, პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების ადაპტაციის და  
უცხოელი სტუდენტების ხელშეწყობა

ნდ №2-010102 /11



**მუხლი 1. დოკუმენტის შესახებ**

წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში - წესი) ვრცელდება ბნსუ-ს სტუდენტებზე და პროფესიულ სტუდენტებზე/მსმენელებზე (შემდგომში - სწავლის სუბიექტები) და ადგენს ბნსუ-ს სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ადაპტაციის (სოციალიზაციის) ხელშეწყობის პრინციპებს, ასევე უცხოელი სტუდენტების ადაპტაციისა და მომსახურების მექანიზმებს. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია ბნსუ-ში ამ საკითხების საკვანძო ასპექტების ჩამოყალიბება და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

**მუხლი 2. ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები**

- ბნსუ-ში მნიშვნელოვან ენიჭება ორგანიზაციაში სოციალიზაციის პროცესს და ორგანიზაციულ კულტურას;
- ორგანიზაციულ კულტურაში ბნსუ მოიაზრებს იმ ღირებულებებს, ტრადიციებს, და როგორც დაწერილ, ისე დაუწერიელ წესებს, რომლებიც განაპირობებს ბნსუ-ს თანასაზოგადოების ქცევას;
- ბნსუ მიიჩნევს, რომ ორგანიზაციული კულტურა არის ბნსუ-ს საქმიანობაში ინტეგრაციის და კოორდინაციის მექანიზმი და სოციალური კონტროლის სისტემა, რომელიც პერსონალის ქცევის ნორმებს აყალიბებს;
- ბნსუ-ს თანასაზოგადოებაში ახალი სწავლის სუბიექტების შემოსვლა ქმნის ბნსუ-ში არსებული ნორმების დარღვევის რისკს, რაც განაპირობებს ახალი სწავლის სუბიექტის ორგანიზაციაში სოციალიზაციის (ადაპტაციის) აუცილებლობას: სოციალიზაციის გზით ახალი სწავლის სუბიექტი ერგება ბნსუ-ში არსებულ ნორმებს და წესებს.

**მუხლი 3. ადაპტაციის მნიშვნელობა. ადაპტაციის ეტაპები**

1. ადაპტაციის პერიოდმა ხელი უნდა შეუწყოს სწავლის სუბიექტს ბნსუ-ში მოქმედ წესებთან, სასწავლო პირობებთან, გარემოსთან, და პროცესთან ადაპტირებაში, სწავლის სხვა სუბიექტებთან კომუნიკაციაში, სასწავლო და სხვა პროცესებში ჩართვაში;
2. ადაპტაციის შედეგები დამოკიდებულია, როგორც ბნსუ-ს ხელშეწყობაზე, ისე სწავლის სუბიექტის სურვილზე ისწავლოს ბნსუ-ში და მიიღოს მისთვის გაწეული მხარდაჭერა;
3. ადაპტაციის სხვადასხვა ასპექტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:
  - პროფესიული (სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან, პირობებთან და თავისებურებებთან ადაპტირება, სტუდენტის /პროფესიული სტუდენტის/მსმენელების უფლება-მოვალეობების გაცნობა-გააზრება და სხვ.);
  - სოციალურ-ფსიქოლოგიური (სხვა სწავლის სუბიექტებთან და ბნსუ-ს პერსონალთან ურთიერთობების ჩამოყალიბება, ქცევის ნორმების გააზრება და დაცვა და სხვ.);
4. ადაპტაციის ხანგრძლივობას განაპირობებს სწავლის სუბიექტის პიროვნული თვისებები, სწავლის უკვე არსებული გამოცდილება, ბნსუ-ს მიერ სწორად შერჩეული ადაპტაციის მეთოდები და მათი ეფექტიანად გამოყენება.
5. ადაპტაციის პროცესი მოიცავს:
  - სწავლის სუბიექტის საჭიროებების იდენტიფიცირებას;
  - ბნსუ-ს სტრუქტურის, ბნსუ-ში მოქმედი წესების და სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;
  - უშუალოდ ადაპტაციის პროცესს;
  - ადაპტაციის პროცესის დასრულებას.
6. ადაპტაციის პროცესი შედგება რამდენიმე ეტაპისაგან, თითოეული უნდა წარმოადგენდეს დაკვირვების და დროულად რეაგირების საგანს. მაგალითად:
  - წინასადაპტაციო პერიოდი - სწავლის სუბიექტებთან კომუნიკაცია: ბნსუ-ს შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მოქმედი წესების და არსებული შესაძლებლობების შესახებ პირველი ინფორმაციის მიწოდება, სასწავლო პროცესის თავისებურებების, სწავლის სუბიექტის უფლება-მოვალეობების გაცნობა და სხვ.;
  - პირველადი (საწყისი) ეტაპი - სწავლის სუბიექტის ჩარიცხვისთანავე; ექსკურსია ბნსუ-ში, საინფორმაციო შეხვედრის/ტრენინგის ჩატარება, სწავლის სუბიექტებისთვის კორპორატიული ფოსტის გახსნა, შეხვედრა ფაკულტეტის დეკანთან/პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ინფორმირება სასწავლო პროცესის თავისებურებების და მისი ორგანიზების, ბნსუ-ში არსებული ადმინისტრაციული, საინფორმაციო და სხვ. ხელშეწყობის მექანიზმების შესახებ, ინფორმირება სწავლის სუბიექტისადმი არსებული მოთხოვნების შესახებ, ინფორმირება სწავლის სუბიექტისასთვის სხვა აუცილებელი/აქტუალური საკითხების შესახებ;
  - ქმედითი ადაპტაციის ეტაპი - სწავლის სუბიექტი ეცნობა ბნსუ-ს საქმიანობას და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს, სასწავლო პროცესის ადმინისტრირებას, მისთვის ხელმისაწვდომ სერვისებს და მხარდაჭერის მექანიზმებს და უშუალოდ ერთგება სასწავლო და ბნსუ-ში მიმდინარე სხვა პროცესებში.
7. ადაპტაცია არის:
  - პირველადი (მაგ., სწავლის სუბიექტი, რომელიც ახლა იწყებს ბნსუ-ში სწავლას);
  - მეორადი (მაგ., სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ბნსუ-ში გადმოსული სწავლის სუბიექტი).
8. პროგრამაზე ჩარიცხული სწავლის სუბიექტის, რომელიც ახლა იწყებს ბნსუ-ში სწავლას, ადაპტაციაში მოიაზრება:
  - ფორმალური ადაპტაცია (მათ შორის, ახალი გარემოს გაცნობა და მასთან ადაპტაცია, ბნსუ-ს მოთხოვნების, სწავლის სუბიექტის ფუნქციების და უფლება-მოვალეობების გააზრება და მათთან შეგუება, სხვ.);
  - საზოგადოებრივი (მათ შორის, ინტეგრირება სასწავლო ჯგუფის წევრებთან და ბნსუ-ს სხვა სწავლის სუბიექტებთან);
  - დიდაქტიკური ადაპტაცია (მაგ., სწავლის სუბიექტის უნარი ჩაერთოს სასწავლო პროცესში, რომელიც მიმდინარეობს მისთვის უცნობი/ახალი სწავლების ფორმების და მეთოდების გამოყენებით).
9. პროგრამაზე ჩარიცხული სწავლის სუბიექტის, რომელიც ახლა იწყებს ბნსუ-ში სწავლას, ადაპტაციისთვის მნიშვნელოვანია: ბნსუ-ს სტრუქტურის, ისტორიის, მიზნების, პრიორიტეტების, შესაძლებლობების გაცნობა; სწავლის სუბიექტების საქმიანობაზე და საჭიროებებზე დაკვირვება, ეფექტიანი კომუნიკაცია, სწავლის სუბიექტების ინტერესების, საჭიროებების, პრობლემების იდენტიფიცირება, აქტუალურ საკითხებზე კომპეტენტური კონსულტირება და უკუკავშირი; აკადემიური, ადმინისტრაციული და საინფორმაციო მხარდაჭერის მექანიზმების სწორად შერჩევა და გამოყენება, სხვ.;
10. ადაპტაციის პროგრამის/ლონისმიერების ეფექტიანობის მაჩვენებელია სწავლის სუბიექტთა რაოდენობა, რომლებმაც ერთი წლის

|  |           |  |     |
|--|-----------|--|-----|
| ძირითადი დოკუმენტი: „შინაგანაწესი“ - დანართი №11 |           |  |     |
| ნდ №2-010102 /11                                 | ვერსია: 0 | დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-01, 03.01.2023 | 2-5 |



შემდგომ ბნსუ-ში გააგრძელეს სწავლა. თუ სწავლის სუბიექტი წყვეტს ბნსუ-სთან ურთიერთობას ამ ვადის გასვლამდე/გასვლისთანავე (როგორც კი მიეცემა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა) - ეს იმას ნიშნავს, რომ მან ვერ შეძლო ბნსუ-ში ადაპტირება, ვერ მიიღო შესაბამისი მხარდაჭერა, ვერ ხედავს ბნსუ-ში სწავლის გაგრძელების პერსპექტივას ან/და აღარ უსურს ბნსუ-ში სწავლის გაგრძელება. ასეთ შემთხვევებში უნდა განხორციელდეს სწავლის სუბიექტთან კომუნიკაცია მის მიერ უარყოფითად შეფასებული გარემოებების დადგენის მიზნით, შემდგომში - ადაპტაციის ღონისძიებების გადახედვა, ამ პროცესში ჩართული პერსონალის საქმიანობის შესწავლა, საჭიროების შემთხვევაში - სწავლის სუბიექტის ხელშეწყობის მექანიზმების გადახედვა ან ახალი მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება.

**მუხლი 4. უცხოელი სტუდენტების ადაპტაცია და მომსახურება**

1. უცხოელი სტუდენტების შემთხვევაში, მოქმედებს წინამდებარე დოკუმენტში განხილული სწავლის სუბიექტთა ადაპტაციის მექანიზმები, ამავდროულად არსებობს გარკვეული თავისებურებები და დამატებითი საჭიროებები:

- 1. უცხოეთის მოქალაქეების მიღება:
  - სტუდენტების მიღების გეგმის შემუშავება, ბნსუ-ს აკადემიური საბჭოსთვის განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენა;
  - სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებული სამუშაოს ორგანიზება, საჭიროების შემთხვევაში, გამოცდების/გასაუბრების/ტესტირების ჩატარება ბნსუ-ში სწავლა-სწავლებისთვის მათი მომზადების ღონის დადგენის მიზნით;
- 2. სასწავლო-მეთოდური მუშაობა და სასწავლო პროცესის ორგანიზება:
  - ბნსუ-ს ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაცნობა. შინაგანაწესის, ქვევის წესების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, მარეგულირებელი ნორმების გაცნობა და კონტროლი მათ შესრულებაზე;
  - სასწავლო გეგმების, სასწავლო, მეთოდური, სხვ. მასალების მომზადება, სტუდენტებთან მუშაობის დაგეგმვა, ორგანიზება და კონტროლი;
  - სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მეცადინეობების ცხრილის შედგენა, საჭიროების შემთხვევაში - კორექტირება;
  - სააუდიტორიო მეცადინეობების და პრაქტიკის ორგანიზების და ჩატარების ხარისხის კონტროლი; დასკვნით შეფასებებზე დაშვების პირობის შესრულების კონტროლი; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლი და შედეგების ანალიზი;
  - სტუდენტის სტატუსთან (შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა) დაკავშირებული წინადადებების მომზადება.
- 3. საქმისწარმოება და კონტრაქტის შესრულების კონტროლი:
  - ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, დიპლომის გაცემის ბრძანებების პროექტების მომზადება;
  - პირადი საქმეების გაფორმება, წარმოება და შენახვა;
  - სტუდენტთა რეგისტრაციის, ინფორმირების და სხვ. ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემის გამოყენება;
  - სტუდენტების სწავლა-სწავლებასთან და სხვ. საკითხებთან დაკავშირებით სასწრაფო და პერიოდული ანგარიშებისათვის აუცილებელი მასალების მომზადება;
  - ბნსუ-ში სწავლის გადასახადების და იურიდიულ/ფიზიკურ პირებთან უცხოელი სტუდენტების სწავლასთან დაკავშირებით დადებული კონტრაქტების შესრულების კონტროლი.
- 4. სოციალიზაციის ხელშეწყობა:
  - ბნსუ-ს სტრუქტურის, სტრუქტურული ერთეულების და მართვის პრინციპების გაცნობა;
  - ბნსუ-ში სტუდენტური სერვისების შესახებ ინფორმირება;
  - ბნსუ-ს საერთო საცხოვრებელში განთავსების, საყოფაცხოვრებო პირობების კონტროლი;
  - სტუდენტების ინფორმირება ბათუმში არსებული სამედიცინო დაწესებულებების და სამედიცინო დახმარებით სარგებლობის, საგანგებო სიტუაციებში ქვევის წესების, საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის საქართველოში უცხოელი სტუდენტების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ;
  - საქართველოში განათლების სფეროში არსებული ნორმატიული დოკუმენტების და ბნსუ-ში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებების/წესების გაცნობა;
  - სოციალიზაციის და ბნსუ-ს ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა;
  - არსებული პრობლემების (საყოფაცხოვრებო, ჯანმრთელობა, სხვ.) შესწავლა და შესაბამისი დახმარების გაწევა;
  - წახალისების და დისციპლინური დარღვევისთვის სანქციის დაკისრების შესახებ წინადადებების მომზადება;
  - სტუდენტთა კონტინგენტის ძირითადი პრობლემების და საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და, წინადადებების/რეკომენდაციების მომზადება და ბნსუ-ს ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- 5. მკაცრი აღრიცხვის ფორმების, პირადი ხასიათის და სხვა დოკუმენტების მომზადება:
  - მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დიპლომები, სხვ.) მომზადება, გაცემა, ამ დოკუმენტების ლეგალიზებასთან (აპოსტილი, სხვ.) დაკავშირებით ინფორმირება და ტექნიკური დახმარება;
  - გაცემული მკაცრი აღრიცხვის ფორმების სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოება, გაცემული და ჩამოწერილი დოკუმენტების აღწერა;
  - დიპლომის დანართების, აკადემიური მოსწრების ფურცლების და სხვ. ცნობების მომზადება, ინგლისურ ენაზე თარგმნა და გაცემა;
  - სტატუსშეჩერებული და სტატუსშეწყვეტილი პირების შესახებ ინფორმაციის და აუცილებელი დოკუმენტების მომზადება.

**მუხლი 5. დასკვნითი დებულებები**

- 1. წინამდებარე დოკუმენტს და ცვლილებებს დოკუმენტში ამტკიცებს ბნსუ-ს რექტორი;
- 2. წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/ წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ საკითხებს;
- 3. წინამდებარე დოკუმენტის მუხლებს წანამდგვრებული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცველად ან განმმარტებლად;
- 4. წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ბათილად ცნობა არ ვრცელდება დოკუმენტის სხვა მუხლებზე/დებულებებზე;

|  |           |  |     |
|--|-----------|--|-----|
| ძირითადი დოკუმენტი: „შინაგანაწესი“ - დანართი №11 |           |  |     |
| ნდ №2-010102 /11                                 | ვერსია: 0 | დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-01, 03.01.2023 | 3-5 |



5. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
6. წინამდებარე დოკუმენტი ძალას კარგავს ახალი დოკუმენტის დამტკიცების შემთხვევაში.



ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

| ცვლილებების<br>№ | ცვლილებების<br>თარიღი | ცვლილებების შინაარსი |
|------------------|-----------------------|----------------------|
|                  |                       |                      |
|                  |                       |                      |
|                  |                       |                      |